PDP 3 17 00002014

02/06/2017

წერილი სოციალური მომსახურების სააგენტოს

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორს, ბ-ნ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

2017 წლის 16 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში შემოსულ თქვენ №PDP 1 17 00001752 წერილთან დაკავშირებით განგიმარტავთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აპარატში 2017 წლის 07 მარტს წარმოდგენილი №PDP 5 17 00000892 წერილი (ასლი ერთვის დანართის სახით) შეეხებოდა, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შშმ პირების მონაცემების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადაცემას, მათი სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

№PDP 5 17 00000892 წერილში მითითებული ინფორმაციის და აპარატის მიერ საკონსულტაციო რეჟიმში შესწავლილი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემა ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს (მოცემულ შემთხვევაში, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ინფორმაციის გადაცემის მიზანია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების სიცოცხლის გახანგრძლივება, მათი ჯანმრთელობის დაცვა, მათთვის სოციალური დახმარებისა და შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნის გზით. შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შშმ სტატუსის მქონე პირების მონაცემების (სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი და სტატუსი) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადაცემა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტის საფუძველზე დასაშვებია.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას. მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები კი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად

ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელ–ფოსტა: office@pdp.ge

7, Vachnadze Str, 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdp.ge

აფასებენ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობა/არარსებობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა/არგაცემის თაობაზე.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე 2421000.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ბრეგვაძე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის
მოადგილე